დღევანდელი გაკვეთილის თემაა – ზრუნვა!

ავტორი [მაკა ლდოკონენი]

გაკვეთილი ზრუნვაზე წრეების შემოხაზვით იწყება: ვსვამთ შკითხვას – „ვისთვის (ან რისთვის) ზრუნვა გვმართებს?“ – პასუხებს კი შესაბამის წრეებში ვწერთ. წრეები სხვადასხვა ზომისაა და ზოგი მხოლოდ ერთ არსებას ან ნივთს, ერთ ოთახს ან ერთ მოვლენას იტევს, ზოგი კი მთელ ოჯახს, ქუჩას, უბანსა თუ კლასს, არის ისეთებიც ქალაქებსა და სამყაროებსაც რომ სწვდება.

გაკვეთილის პირველივე წუთებიდან თვალსაჩინოდ ჩანს, რომ ბავშვებს დასმული შეკითხვა ფიქრისკენ უბიძგებთ. ერთმანეთის პასუხებით აღტაცებულები თუ გაოცებულები ცდილობენ გონება დაძაბონ – არავინ და არფერი რომ არ გამორჩეთ.

დაფაზე შემოხაზული წრეები თანდათან ივსება და ცოტა ხნით დუმილი ისადგურებს... მომდევნო დავალების დრო დგება: რვეულებში ზრუნვის ობიექტებს საინტერესო სიმბოლოები უნდა მოუფიქრონ.

დავალებაში უკეთ გასარკვევად, თვასაჩინოებისთვის ერთ მოკლემეტრაჟიან ანიმაციურ ფილმს ვთავაზობთ:

ფილმს „მამა“ ჰქვია, 1 წუთსა და 45 წამს გრძელდება, მისი რეჟისორი ირანელი ანიმატორი მუჰამადრეზა ხერადმანდანია, პერსონაჟები კი – სარცხის თოკზე გაფენილი მამაკაცის პალტო,

ქალის კაბა და ბავშვების ტანსაცმელი. თავსხმა წვიმასა და ქარიშხალში პალტო ცდილობს თავი თოკზე შეინარჩუნოს და მასში შეყუჟული დანარჩენი „გმირები“ გადაარჩინოს. ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ მარტივი სიმბოლოებით უდიდესი გრძნობები და ემოციებია გადმოცემული. ფილმის სათაური კი ორიგინალურ მინიშნებებს მათემატიკური განტოლებასავით ხსნის.

როგორც ჩანს, ანიმაციურ ფილმს „მამა“ ტყუილად არ დაუმსახურებია უამავი ჯილდო – მოსწავლეები შემოქმედებით ხასიათზე დგებიან და ცდილობენ თავადაც მოფიქრონ საინტერესო სიმბოლოები. სურთ, მეტი დამაჯერებლობითა და სიმძაფრით გადმოსცენ ზრუნვის ობიექტებისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

ზოგჯერ ბავშვები მსგავსი ფილმების ჩვენებას კიდევ ითხოვენ. ასეთ შემთხვევაში დამატებითი მასალის სახით შეგვიძლია კიდვ რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი შევთავაზოთ:

„მამა და ქალიშვილი“

„ხე“

***

საყვარელ ადამიანებზე ზრუნვა ამოუწურავი თემაა და ერთი გაკვეთილი ნამდვილად არ ეყოფა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი მოსწავლე შინაურ ცხოველებს ოჯახის წევრებად მიიჩნევს. აქედან გამომდიარე, მსჯელობა ახალი მიმართულებით გრძელდება...

ცხოველების სიყვარული, მათზე ზრუნვა და მათდამი პასუხისმგებლობა ის თემებია, რომლებზე საუბარშიც დიდ დახმარებას გაგვიწევს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საჩუქარი:

მისი ნახვის შემდეგ მიღებული ემოციებს დიდი თუ პატარა იოლად ვერ უმკლავდება. მოსწავლეებთან ერთად ვცდილობთ დავაზუსტოთ, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს ფილმის შემქმნელებმა, შინაური ცხოველის ერთგვარ სიმბოლოდ პატარა გოგონა რომ შემოგვთავაზეს; იქნებოდა კი სხვა შემთხვევაში ჩვენი რეაქცია ასეთი მძაფრი?!

ზოგიერთი მოსწავლე თვლის, რომ ფილმში ორიგინალური ხერხი გამოიყენეს, ზოგიერთი – გაკვირვებულია, ზოგიერთი კი ცოტა არ იყოს გაღიზიანებულიც. უმეტეს შემთხვევაში ფილმის განმეორებით ნახვას ითხოვენ. და აი, ამჯერად სხვა თვალით აკვირდებიან და აანალიზებენ (მათ ხომ უკვე იციან რა იგულისხმება სპანიელის ლეკვთან მიმსგავსებული, ჟღალკიკინებიანი გოგონას სევდიანი გამოხედვის მიღმა).

ცხოველებზე ზრუნვა უდიდესი პასუხისმგებლობაა! – ამაში ერთხმად ვთანხმდებით და „საჩუქრის“ დანიშნულებაც სწორედ ეს გახლდათ.

მეგულება ანალოგიური სათაურის კიდევ ერთი ფილმი პატარა ბიჭუნასა და ძაღლზე. თუმცა ამ ანიმაციაში ზრუნვის ობიექტი ადამიანია, მზრუნველი კი ოთხფეხა მეგობარი. რეჟისორი ორიგინალური ხერხით გვაჩვენებს როგორ შეუძლიათ განსხვავებულ არსებებს (განსხვავებულებს არა მხოლოდ ერთმანეთისგან, სხვებისგანაც) დაეხმარონ ერთმანეთს:

***

ზრუნვაზე საუბარი სარკესავითაა – გვეხმარება უკეთ გავიცნოთ ჩვენი მოსწავლეების ხასიათი და მისწრაფებები, სურვილები და უნარ-ჩვევები, მათი ბუნება და არსი. რვეულები საინტერესო სიმბოლოებით ივსება. ზოგიერთი ფილმის სიუჟეტის დაწერასაც ცდილობს... ამასობაში კი გაკვეთილიც იწურება და რა თქმა უნდა ყველა სასურველ თემას (ყველა შემოხაზულ წრეს) ვერ ვწვდებით.

განსაკუთრებით მრავლისმომცველი ბუნებაზე, ეკოლოგიაზე, სამყაროზე ზრუნვის წრეებია, რომელთა გარშემო მსჯელობაც სხვა გაკვეთილების პრერგატივაა. მათ შესახებ კი შეგიძლიათ წაიკითხოთ წერილი „მწვანე წიგნები არა მხოლოდ პატარებისთვის“ (https://mastsavlebeli.ge/?p=15838).